



**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010167764609517

**15 / ნოემბერი / 2017 წ.
№ 1081/ს**

სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (წიფელა I; II; III; IV ხარისხის ჯიშის მრგვალი ხე-ტყე (მორი) –სულ 77.96 - მ3 საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N351) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46¹-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 14 ნოემბრის დასკვნის N5006405617, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2017 წლის 31 ოქტომბრის N21-07/2835 სამსახურებრივი ბარათის და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 08 ნოემბრის N26304/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N351 რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ცაგერის სატყეო უბნის, ორბელის სატყეოს N95 კვარტლებში (ლიტერი 2), სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 77.96 მ³ ფოთლოვანი სახეობის (წიფელა I; II; III; IV ხარისხი) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ბლიაძე) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

11/15/2017

ეროვნული სატყეო სააგენტო

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, გულუას ქ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილე



ნათია იორდანიშვილი